



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 02 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №47/268-18-1

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 23 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 19 თებერვალს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ, 2018 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, უკანონოდ და დაუსაბუთებლად არ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ მხარის განცხადება.

საჩივრის ავტორი ასევე, მიუთითებს, რომ მოსამართლე შეგნებულად ახორციელებს შერჩევით სამართალს, რაც გამოიხატა იმაში, რომ ორ იდენტურ საქმეზე, უზრუნველყოფის ღონისძიებასთან მიმართებით, განსხვავებული განჩინებები მიიღო. კერძოდ, მოსამართლემ 2018 წლის 08 აგვისტოს არ დააკმაყოფილა მხარის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, მაშინ როცა ანალოგიურ საქმეზე 2016 წლის 11 აპრილს გამოყენებული აქვს უზრუნველყოფის ღონისძიება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 11 ოქტომბერს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „-- --“, მოპასუხე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ მითითებული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 სექტემბრის №-- განკარგულების ბათილად ცნობა. ამავე სარჩელით მხარემ მოითხოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე დავის გადაწყვეტამდე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 სექტემბრის №-- განკარგულების შეჩერება იმაზე მითითებით, რომ გასაჩივრებული აქტი უკანონო იყო და ზიანს აყენებდა შპს „-- --“ საქმიანობას. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შპს „-- --“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ დააკმაყოფილდა.

2018 წლის 15 ოქტომბერს შპს „-- --“ წარმომადგენელმა -- -- -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის თანახმად გაიხმო სარჩელი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით შპს „-- --“ სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი; საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ჩაბმულ იქნა -- -- აპარატი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით შპს „-- --“ წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის გახმობის თაობაზე დაკმაყოფილდა; შპს „-- --“ სარჩელი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ მისი გამოხმობის გამო.

2.2. 2016 წლის 5 აგვისტოს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შპს „-- --“ წარმომადგენელმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელის შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 7 ივლისის №-- განკარგულების ბათილად ცნობა მოითხოვა. სარჩელში დაყენებულ იქნა მოთხოვნა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 7 ივლისის №-- განკარგულების შეჩერების თაობაზე იმაზე მითითებით, რომ გასაჩივრებული აქტი უკანონოა და ზიანს აყენებს შპს „-- --“ საქმიანობას.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 08 აგვისტოს განჩინებით (მოსამართლე -- --) შპს „-- --“ შუამდგომლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 7 ივლისის №-- განკარგულების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 08 აგვისტოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს შპს „-- --“ წარმომადგენლებმა -- -- -- და -- --, მოითხოვეს განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს „-- --“ წარმომადგენლების -- -- -- და -- -- კერძო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით შპს „-- --“ წარმომადგენლების -- -- და -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 08 აგვისტოს განჩინება; შპს „-- --“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; შეჩერდა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 07 ივლისის №-- განკარგულების მოქმედება.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში 2016 წლის 10 აგვისტოს განჩინებით შპს „-- --“ სარჩელი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 14 აპრილის №-- განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილი იქნა დასაშვებად.

2016 წლის 22 აგვისტოს სასამართლოს მოსარჩელის წარმომადგენელმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 7 ივლისის №-- განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე შუამდგომლობით განმეორებით მომართა იმაზე მითითებით, რომ ამ შუამდგომლობით უკეთესად ასაბუთებდა სადავო აქტის მოქმედების შეჩერების აუცილებლობას. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 აგვისტოს განჩინებით შპს „-- --“ შუამდგომლობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 7 ივლისის №-- განკარგულების მოქმედების შეჩერების თაობაზე დარჩა განუხილველი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „-- --“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარყოფით გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენისა და წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. მოსამართლე შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლეთა მიერ, მათი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე.

რაც შეეხება იდენტურ საქმეებზე განსხვავებული შედეგის დადგომის ფაქტს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს ფაქტებს. კანონმდებლობისა თუ პრაქტიკის გათვალისწინებით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ხოლო კონკრეტულ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიკერძოების ფაქტი საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად არ დადასტურდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს

კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 თებერვლის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 23 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 23 ოქტომბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, განჩინებების კანონიერების შემოწმების ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი